უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№4 (71) 2017

თსუ გაზაფხულის სემესტრს სიახლეებით შეხვდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2016/2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრს მნიშვნელოვანი სიახლეებით შეხვდა.

გაგრძელება მე-2 გვ.

რთული ბიუროკრატიული ბარიერი, რაც სტუდენტების და უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენლების მომართვების განხილვას ახანგრძლივებდა, დღის წესრიგიდან მოიხსნა. 2017 წლის 1 იანვრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამოქმედდა ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა დოკუმენტებთან მუშაობა.

ეს სიახლე მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია სტუდენტური პროექტების დაჩქარებული წესით განსახილველად. ბოლო ათწლეულის მანძილზე დაუძლეველ პრობლემად ქცეული სტუდენტური პროექტების დაფინანსების საკითხი სტუდენტების სასარგებლოდ გადაიჭრა. ამ ეტაპზე სტუდენტების განაცხადების მიღება სტუდენტური პროექტების დაფინანსების ახალი წესის მიხედვით მიმდინარეობს. გასული კვირისთვის უკვე შემოსული იყო 67 საპროექტო განაცხადი და გრძელდება განაცხადების მიღება სტუდენტური სამეცნიერო პროექტების დაფინანსების თაობაზე. თსუ

სტუდენტური ომბუდსმენი თსუ-ში

გერმანელი იურისტი მარიო შიუტცე სულ ცოტა ხნის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტურ ომბუდსმენად დაინიშნა. შიუტცე დაახლოებით სამი წელია საქართველოში ცხოვრობს. 2014 წლიდან ის თსუ იურიდიული ფაკულტეტის და კიოლნის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი და ლექტორია გერმანულ სამართალში. გარდა ამისა, არის კონსულტანტი თბილისის საქალაქო სასამართლოში. რის გაკეთებას გეგმავს ომბუდსმენის პოზიციაზე გერმანელი იურისტი? დღეს მკითხველს ის ამ და სხვა კითხვებზე გასცემს პასუხს.

გაგრძელება მე-2 გვ.

– კონკრეტულად რა არის თქვენი, როგორც ომბუდსმენის ფუნქცია და მოვალეობა?

– ომბუდსმენის თანამდებობა შეიქმნა როგორც მედიაციის ინსტიტუტი, რათა მოაგვაროს სტუდენტებსა და უნივერსიტეტს, ასევე სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული პრობლემები. ომბუდსმენი ერთვება მედიაციის საჭიროებისას, როცა ორ მხარეს შორის მოლაპარაკებები ჩიხში შედის.

– ომბუდსმენის თანამდებობა თქვენ საკმაოდ „საინტერესო პერიოდში“ და თან უსასყიდლოდ დაიკავეთ. რა გიქმნით ამის მოტივაციას?

ჩემი მოტივაციაა, რომ საუნივერსიტეტო ცხოვრების განვითარებას დავუჭირო მხარი

თსუ სტუდენტების ვიზიტი ნატოსა და ევროკავშირის ინსტიტუტებში

ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტები, ევროპული საგანმანათლებლო ცენტრის მიერ ორგანიზებული სასწავლო-აკადემიური ვიზიტის ფარგლებში, ბრიუსელს ესტუმრნენ და ნატოსა და ევროკავშირის ინსტიტუტებში შეხვედრები გამართეს. დელეგაცია 18 სტუდენტისგან შედგებოდა, რომელთა უმეტესობა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სამედიცინო და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებია.

ევროკომისიის თანამშრომლებმა ქართველი ახალგაზრდებისთვის ევროკომისიის პოლიტიკური მნიშვნელობისა და სტრატეგიის შესახებ ლექციები წაიკითხეს. შეხვედრის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გაცნო-

გაგრძელება მე-2 გვ.

ორი ახალი სტიპენდია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში თავის სტუდენტებს ორი ახალი სტიპენდია შესთავაზა – „პროფესორ ალექსანდრე რონდელის სახელობის“ და „სულხან-საბა ორბელიანის სახელობის“.

პრეზიდენტის ინიციატივით დაინიშნული ამ სტიპენდიების მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის III-VIII სემესტრის სტუდენტებს შეეძლოთ. სტიპენდიების დაწესების მიზანი უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო მიმართულების ბაკალავრიატის პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა წახალისებაა. ორივე სტიპენდია ყოველსემესტრულად, 5 თვის ვადით, თვეში 160 ლარის ოდენობით გაიცემა.

კონკურისის მონაწილეებს 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დარეგისტრირებულ საგნებში დაგროვილი უნდა ჰქონოდათ მინიმუმ 30 კრედიტი, აკადემიური მოსწრება თითოეულ საგანში კი – არანაკლებ 81 ქულისა.

სტიპენდიანტები დეკანის ბრძანებით შექმნილი სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის მიერ შეირჩევიან, რომელიც სასწავლო-სამეცნიერო მიმართულების სპეციალისტებისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდა. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევა ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და წინა სემესტრში შესრულებული მინიმუმ 30 კრედიტის საფუძველზე 100 ქულიანი სისტემით: სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება: პუბლიკაციები ქართულ ან უცხურ, ბეჭდურ ან ელექტრონულ სამეცნიერო გამოცემებში; პუბლიკაციები ქართულ ან უცხურ ბეჭდურ, ან ელექტრონულ რეცენზირებად/რეფერირებად პერიოდულ სამეცნიერო გამოცემებში: სხვადასხვა სახის საერთაშორისო, საფაკულტეტო თუ საუნივერსიტეტო სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა და გამარჯვება და სხვა.

გზა თსუ-ში სწავლიდან – ამერიკულ მულტინაციონალურ ნავთობკომპანიამდე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი მსოფლიოში უდიდესი ნავთობმომპოვებელი და გადამამუშავებელი ამერიკული კორპორაცია ExxonMobil-ის ბუდაპეშტის ფილიალის ფინანსური ანალიტიკოსი გახდა.

22 წლის მარიამ დევაძემ დამამთავრებელ

გვ. 2

პირველი ნაბიჯები წარმატებისკენ

თსუ სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) ბიოქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი მილიონობით ადამიანისთვის ცხოვრების გამარტივებაზე ოცნებობს.

კესი კაციტაძე თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) ბიოქიმიის ფაკულტეტის მეორე კურსის წარჩინებული სტუდენტია. ის გასულ წელს ერთი სემესტრით გაემგზავრა კალიფორნიაში სასწავლებლად, ბაფხულში კი, როგორც მილენიუმისა და თსუ-ში სან დეიგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი, ამერიკის სახელმწიფო მდივანს ჯონ ქერის შეხვდა.

მისი მიზანი მეცნიერებაში ისეთი აღმოჩენის გაკეთებაა, რაც მილიონობით ადამიანის ცხოვრე-

გვ. 4

კომპიუტერული რესურსცენტრი ბაგების სტუდქალაქში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაგების სტუდქალაქში 13 მარტს კომპიუტერული რესურს ცენტრი გაიხსნა. ახალ რესურსცენტრში არსებული 15 კომპიუტერით სტუდქალაქში მცხოვრები 240-მდე სტუდენტი ისარგებლებს. აქვეა საპრეზენტაციო სივრცე, რომელიც პროექტორითა და ეკრანითაა აღჭურვილი. რესურსცენტრში სტუდენტები ინტერნეტით უფასოდ ისარგებლებენ.

თსუ სტუდენტების ვიზიტი ნატოსა და ევროკავშირის ინსტიტუტებში

პირველი გვერდიდან

ბოდნენ ევროკომისიის ისტორიას, სამომავლო განვითარებისა და ხედვების შესახებ ინფორმაციას. სპიკერებმა ასევე ისაუბრეს საქართველოსა და ევროკომისიას შორის არსებულ ურთიერთობებზე, განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე.

თსუ საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრანტი, „ევროპული საგანმანათლებლო ცენტრის“ დირექტორი, გიორგი ბენაშვილი:

„ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი ახალგაზრდების მჭიდრო ურთიერთობა ევროპულ ინსტიტუტებთან, რადგან ეს ერთგვარი დასტურია ჩვენი ქვეყნის გაცხადებული პრო-დასავლური კურსისა და ამავე დროს მტკიცე არჩევანისა, რომელიც გულისხმობს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციას. ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ახალგაზრდების ხელშეწყობაა, რომ აქტიურად გაეცნონ ევროპულ პოლიტიკურ და კულტურულ გარემოს. სასიხარულოა რომ პროექტის მონაწილეთა უმრავლესობა თსუ სტუდენტები არიან. მათ საშუალება მიეცათ პირადად გაცნობოდნენ იმ საკითხებს, რასაც უნივერსიტეტში აკადემიური სწავლების დროს გადიან. კარგი იქნება თუ სამომავლოდ სხვა ახალგაზრდებსაც ექნებათ საშუალება მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობისა“.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა ნატოს შტაბ-ბინაში, სადაც სტუდენტები ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაის შეხვდნენ. აპატურაისთან შეხვედრა საქართველოსა და ნატოს ურთიერთობების მიმოხილვას დაეთმო. სტუდენტებს კითხვები ჰქონდათ ნატო-საქართველოს პარტნიორობის, ალიანსთან დაახლოებისა და რუსული რბილი ძალის საკითხებთან. თსუ წარმომადგენლებმა ჯეიმს აპატურაის უნივერსიტეტის ფაბ-ლაბში დამზადებული სპეციალური ორიგინალური საჩუქარი გადასცეს.

სოფო ჯოლია, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

„ევროპული ღირებულებებისა და წარმატებეთ განხორციელებული პროექტების, ნატოსა და ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა ისეთი კომპეტენტური პირებისგან, რომლებიც თავად ღებულობენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას, ძალიან შთამბეჭდავი და საინტერესოა. ამ გამოცდილების შემდეგ უფრო მეტი სტიმულით, მონდომებით და ხალისით დავუბრუნდი ქართულ სტუდენტურ ცხოვრებას და ვიმედოვნებ მსგავსი სახის ვიზიტები უფრო ფართო მასშტაბს მიიღებს და მომავალში უფრო მეტ ქართველ ახალგაზრდას ექნება მსგავსი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა, რადგან ხშირად სწორედ სწორად მიწოდებული ინფორმაციის ნაკლებობა იწვევს არასწორი შეხედულებების ჩამოყალიბებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით“.

ბრიუსელში ნატოს შტაბ-ბინაში ვიზიტის დროს სტუდენტები ნატოში საქართველოს მისიასაც ესტუმრნენ. პროექტის მონაწილეებს მისიის ხელმძღვანელმა ალექსანდრე მაისურაძემ უმასპინძლა.

სტუდენტების მიღება ბელგიაში საქართველოს საელჩოშიც გაიმართა, სადაც ახალგაზრდებს ბელგიასა და ევროკავშირში საქართველოს ელჩი ნატალია საბანაძე შეხვდა. ქართველი სტუდენტები ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტსაც ესტუმრნენ, სადაც ადგილობრივ ქართველ სტუდენტებსა და პროფესორებს შეხვდნენ.

ნიკა ასანიძე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი:

„თითოეულ შეხვედრაზე საშუალება გვქონდა გავცნობოდით სტრუქტურების ისტორიას, სამომავლო განვითარებისა და ხედვების შესახებ ინფორმაციას. ასევე კითხვები დაგვესვა ჩვენთვის საინტერესო მიმდინარე პროცესებზე.

ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ქართველ ახალგაზრდებს მიეცეთ შესაძლებლობა აქტიური ურთიერთობები დაამყარონ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მცხოვრებ თანატოლებთან, ამისთვის კი, პირველ რიგში საჭიროა ევროპული პოლიტიკური, კულტურული და საგანმანათლებლო გარემოს გაცნობა.

ჩემთვის, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტისთვის მისასალმებელია, რომ ასე ფართოდ ვიყავით წარდგენილები საქართველოს საუკეთესო უნივერსიტეტიდან“.

გაცნობითი შეხვედრა გაიმართა ევროპის პარლამენტშიც. სადაც ქართველი სტუდენტები ევროპარლამენტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს რომან შტრასერს შეხვდნენ. შეხვედრაზე განხილული იყო საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტი. შეხვედრაში მონაწილე სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ რომან შტრასერისთვის კითხვები დაესვათ ევროპარლამენტის მუშაობის სპეფიციკისა და საკადრო-ადმინისტრაციული პოლიტიკის შესახებ. შტრასერმა სტუდენტებთან ისაუბრა ევროპარლამენტში სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობებზე.

თსუ გაგაფხულის სემესტრს სიახლეებით შეხვდა

პირველი გვერდიდან

რექტორის ინიციატივით, სტუდენტური პროექტების დაფინანსების გამჭვირვალობისა და პარიტეტის დასაცავად შეიქმნა სპეციალური საბჭო, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციების, თსუ-ს და სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები შევიდნენ. სტუდენტური პროექტების დაფინანსება მოხდება საგრანტო კონკურსის საფუძველზე.

ახალი სასწავლო სემესტრიდან თსუ სტუდენტთა უფლებებს სტუდენტური ომბუდსმენი დაიცავს. სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის, შეზღუდვის ფაქტების გამოვლენისთვის, შესაძლო კონფლიქტების პრევენციისა, სტუდენტსა და აღმინისტრაციას შორის მედიაციისთვის, თსუ რექტორის ბრძანებით, უნივერსიტეტში ამოქმედდა სტუდენტური ომბუდსმენის ინსტიტუტი. სტუდენტურ ომბუდსმენად დაინიშნა თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე მოქმედი კიოლნის (გერმანია) სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი, ახალგაზრდა მკვლევარი მარიო შიუტცე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე თსუ X კორპუსში (მაღლივი) სტუდენტებისთვის კვების ობიექტის გახსნაა. ობიექტით, ძირითადად თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის, და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტები და თანამშრომლები ისარგებლებენ. კვალიფიციურ პერსონალთან ერთად, სტუდენტებს და თსუ თანამშრომლებს ტურიზმის პროფესიული პროგრამის სტუდენტები მოემსახურებიან. მომავალში კვების ობიექტზე თსუ სტუდენტები დასაქმდებიან. უახლოეს პერიოდში კვების ობიექტი თსუ პირველ კორპუსთანაც გაიხსნება.

თსუ-ს პროფესორის საერთაშორისო აღიარება

4 საერთაშორისო კონფერენციასა და სიმპოზიუმზე იქნა წარდგენილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის სულხან ნანობაშვილის პროექტი „დარტყმითი ტალღის დინამიკა ნეიტრალურ აირებსა და პლაზმაში“. პროექტმა გამარჯვება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, ფუნდამენტური კვლევებისათვის გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მოიპოვა. კვლევის შედეგები 8 საერთაშორისო მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალშიც დაიბეჭდა. მეცნიერების, დარგის სპეციალისტების მიერ, ქართველი კოლეგის ნაშრომი მნიშვნელოვან მეცნიერულ აღმოჩენად შეფასდა.



სტუდენტური ომბუდსმენი თსუ-ში

პირველი გვერდიდან

- უნივერსიტეტთან მიმართებით სტუდენტების ჩართულობის თვალსაზრისით. მე გერმანელი ვარ და ჩემს ქვეყანაში უნივერსიტეტებში სტუდენტების ჩართულობის კარგი პრაქტიკა არსებობს. სტუდენტურ ჯგუფებს გარკვეული ავტონომია აქვთ და იციან, თუ როგორ გამოიყენონ ეს ავტონომია, ჩართულობის არსებულ შესაძლებლობებთან ერთად. მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღება სტუდენტების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. ეს არის საუნივერსიტეტო დემოკრატია.

— როგორც ბოლო პერიოდის მოვლენებმა აჩვენა, სტუდენტების მიერ დასმული პრობლემები და საკითხები საკმაოდ მრავალფეროვანია. თუ შეიძლება დააზუსტოთ, რა რეგულაციებით იხელმძღვანელებთ თქვენი საქმიანობისას?

— ფაქტობრივად, მე უნდა მივსდიო არსებულ რეგულაციებს. გარდა ამისა, ყოველთვის შესაძლებელია ცადო, რომ საღი მიდგომით მოაგვარო გარკვეული პრობლემა, ან შეცვალო რეგულაციები ყველა მხარის თანხმობით. მაგრამ ნათლად რომ განვმარტო, ჩემი ფუნქცია არ არის ერთი ჯგუფის ან მხარის სახელით ვაწარმოო მოლაპარაკება. ჩემი მოვალეობაა, რათა დავა მოვაგვარო პირველ ეტაპზე და წარმოვადგინო რეკომენდაციები პრობლემის გადასაჭრელად. გამოსავლის მოძებნა ყოველთვის დამოკიდებულია დაინტერესებულ პირთა ნებაზე.

— რამდენად კარგად ხართ გარკვეული დღეისათვის სტუდენტურ ე.წ. შიდა სამზარეულოში?

— პრინციპში, ძირითადი ფაქტები ჩემთვის ცნობილია. თუმცა, როგორც უცხოელს, რომელსაც თსუ-ში ან თუნდაც საქართველოში არ უსწავლია, ცხადია, ყველა დეტალი არ მეცოდინება. მე ამას პრობლემად არ აღვიქვამ, ვინაიდან მე შემიძლია მოსმენა, ფაქტების დანახვა და მდგომარეობის აღქმა, როცა ამ ყველაფერს ობიექტურად და მიუკერძოებლად წარმომიჩენენ.

მიმაჩნია, რომ გარკვეული სიტუაცია შეიძლება და უნდა მოგვარდეს ორმხრივი მოლაპარაკებების გზით. ომბუდსმენის ჩართულობა ყოველთვის იმაზე მიუთითებს, რომ მხარეები თავად ვერ აგვარებენ პრობლემას.

— თუ გქონდათ უკვე შეხვედრები სტუდენტებთან და თუ დაფიქსირდა თქვენთან უკვე რაიმე სახის პრობლემები, რომლებიც სასწარაფო რეაგირებას საჭიროებს?

— საწყისი ეტაპისთვის შევხვდი იმ სტუდენტთა ცალკეულ წარმომადგენლებს, რომლებიც ცოტა ხნის წინ დაკავებულ მე-6 კორპუსში სწავლობენ. მათ გამიზიარეს თავიანთი ხედვა შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით და მითხრეს, რომ იქ სწავლის გაგრძელება სურდათ. ჩავერთე რა აღნიშნულ პროცესებში, აგრეთვე შევხვდი „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლებს, რათა გავცნობოდი მათ მოსაზრებებს და მეცადა, მეპოვნა გზები მათი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. ჯერჯერობით ეს პირველი შეხვედრა იყო. მას შემდეგ, სტუდენტების მთავარი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და „აუდიტორია 115“-ის სტუდენტებმა შენობა დატოვეს. თუმცა, ეს ძალიან კარგი შესაძლებლობა იყო, რომ პირადად გავცნობოდი სტუდენტებს და მათთვის გამეცნო ჩემი, როგორც ომბუდსმენის მოვალეობები.

მსურველებს ომბუდსმენთან შეხვედრა პირველ კორპუსში შეეძლებათ. ამას გარდა, შეუძლიათ მას დაუკავშირდნენ ელექტრონული ფოსტის: mario.schuetze.tsu.ge ან ტელეფონის საშუალებით, ნომერზე: 577990368.

გზა თსუ-ში სწავლიდან – ამერიკულ მულტინაციონალურ ნავთობკომპანიამდე

პირველი გვერდიდან

კურსზე ჯერ ბუდაპეშტში სწავლის გაგრძელების სრული დაფინანსება მოიპოვა, გასული წლის მაისში კიჯონ როკ-ფელერის „სტანდარდ ოილის“ შთამომავალი კომპანიის ExxonMobil-ის თანამშრომელი გახდა.

როგორც თვითონ იხსენებს, გზა თსუ-ში სწავლიდან ამერიკულ მულტინაციონალურ ნავთობკომპანიაში მისი აყვანამდე გრძელი და დაბრკოლებებით სავსე იყო, რომელსაც ასე იხსენებს:

„დაბრკოლებები ჩემს ცხოვრებას ყოველთვის ახლავს თან, მაგრამ მე მათ ვუყურებ როგორც გამოწვევებს. ეს წინააღმდეგობები, ჩემს ცხოვრებას უფრო საინტერესოს ხდის.

უნივერსიტეტის არჩევაზე ბევრი არ მიფიქრია. თავიდანვე ვიცოდი რომ თსუ-ში მინდოდა სწავლა. სიმართლე გითხრათ, არც პროფესიის არჩევა გამიჭირდა ძალიან. ჩემს ოჯახში ყველა ფინანსისტი ან ეკონომისტია. ეს ტრადიცია ბაბუაჩემმა, აჭარაში ცნობილმა ეკონომისტმა სერგო დევაძემ დაიწყო. ამიტომაც, ეკონომიკისა და ბიზნესის სფერო ჩემთვის ბავშვობიდან ახლო იყო და ვიცოდი, რომ მეც ამ მიმართულებით წავიდოდი.

ძალიან მიყვარს თსუ, ეს უნივერსიტეტი სტუდენტებს უდიდეს პოტენციალს სთავაზობს, მთავარია, რომ სწორად გამოიყენო. სტუდენტობა ჩემთვის სწავლასთან ასოცირდება. ნაკლებად ვერთობოდი, დროის უდიდეს ნაწილს სწავლას ვუთმობდი. თავის მხრივ უნივერსიტეტიც მიფასებდა მონდომებას და არაერთგზის სტიპენდიანტი გავხდი. ასევე 2013 წლის საუნივერსიტეტო კონფერენციის ერთ–ერთი გამარჯვებულის ტიტული მხვდა წილად. 2015 წელს სტუდენტთა საგრანტო კონკურსში 100%-იანი გრანტი მოვიპოვე. ამავე წელს მოვიპოვე უნგრეთის მთავრობის სრული სასწავლო სტიპენდია ბუდაპეშტში სწავლის გასაგრძელებლად.

ამ ისტორიას ყოველთვის დიდი ემოციებით ვყვები. მეორე კურსზე ვიყავი, ძალიან მინდოდა პოლონეთში წასვლა ერთ-ერთ კონფერენციასა და ვორკშოპზე. თითქოს არაფერი, მაგრამ ჩემთვის ეს მაშინ, Mission Imposible აღმოჩნდა. საკმარისი სახსრები არ გამაჩნდა და არც ის მინდოდა, ჩემი მშობლებისათვის მეთხოვნა დახმარება. წარმოდგენაც არ მქონდა მოკლე დროში, როგორ მეშოვნა საკმარისი თანხა. იყო უბრალოდ ძალიან დიდი სურვილი.

საბოლოოდ, უამრავი თავგადასავლის შემდეგ უნივერსიტეტმა ფინანსური სახსრები გამოგვიყო. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბაგონ აკაკი მიქაბერიძეს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, რომელიც ასე უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს, და ასევე ბოდიშს ვუხდი მას, რადგან მეგისმეგად ბევრჯერ მომიწია მისი შეწუხება ჩემი ახალ-ახალი პროექტებითა და იდეებით“, – ამბობს მარიამი.

გასაუბრების ეტაპი

„პირველი ეტაპი იყო აპლიკაცის პროცესი, სადაც ყურადღება ექცევა ისეთ ფაქტორებს როგორებიცაა, პირველ რიგში ცხოვრებისეული მიღწევები, აკადემიური მოსწრება, ინგლისურის ცოდნის დონე, რეკომენდაციები და ა.შ. მეორე ეტაპი არის საგელეფონო გასაუბრება. მესამე და ყველაზე რთული – ტესტი. ეს არის ამერიკაში საკმაოდ პოპულარული ტესტი, numerical reasoning test, რომელიც ამოწმებს ანალიტიკურ შესაძლებლობებს და სხარტი აზროვნების უნარს. და ბოლოს, გასაუბრება, რომელიც 2 ეტაპისაგან შედგება. თითო სესიაზე 2 ადამიანთან გაქვს გასაუბრება. ჯამში 4 ადამიანის დარწმუნება გიწევს, რომ შენ ხარ ის ვისაც ისინი ეძებენ.

თავდაპირველად ვერ მიკავშირდებოდნენ, ბოლოს როგორც იქნა ვუპასუხე სიგნალის გაუმართავობის გამო არაფერი მესმოდა. ტრაგიკომედია არც შემდეგ ეტაპზე მაკლდა, როდესაც ტესტი უნდა დამეწერა და მთელ ქალაქში ელექტროენერგია გაითიშა, საგრანსპორტო სისტემა უბრალოდ პარალიზებული იყო. არც პროცესის მესამე ეტაპზე განვიცადე ფორს–მაჟორული სიტუაციის ნაკლებობა, როდესაც გასაუბრებაზე ზუსტად იმ დღეს დამიბარეს, როცა უკან ვბრუნდებოდი. პირდაპირ აეროპორტიდან მივედი ოფისში და 10 წუთიანი დაგვიანების გამო გასაუბრება არ ჩაგარდა. მომწერეს, რომ ჩემს კანდიტატურას აღარ განიხილავდნენ, რადგან გასაუბრებაზე არ გამოვცხადდი. დიდი პრობლემები შემექმნა ასევე ვიზასთან დაკავშირებით, 3 თვე ველოდი სამუშაო ვიზას. საბედნიეროდ, კომპანიამ კარგი იურისტი დაიქირავა, რომელიც ძალიან დამეხმარა ამ პრობლემის მოგვარებაში.

ჩემი მწირი გამოცდილებით, ახალგაზრდებს ვურჩევდი დაბრკოლებას ნუ შეხედავენ ისე, როგორც პრობლემას, არამედ მიიღონ ეს როგორ გამოწვევა, მე ეს მიდგომა ძალიან ბევრჯერ დამეხმარა“.

მარიამი საზღვაო ტრანსპორტისა და ნავთობის ეკონომიკის შესახებ დაწერილი ერთ-ერთი სახელმძღვანელოს ავტორია, სახელმძღვანელოში განხილულია სანაოსნო ინდუსტრიის ორგანიზაციისა და საზღვაო ვაჭრობის ეკონომიკური საკითხეები. წიგნით სტუდენტები უკვე სწავლობენ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში. გარდა აკადემიური სფეროსა მარიამი აქტიურად იყო ჩართული არასამთავრობო სექტორშიც.

„მიუხედავად იმისა, რომ საკამოდ ბევრი მქონდა სასწავლი, თავისუფალი დრო მაინც მრჩებოდა. ძალიან მინდოდა ეს დრო აზრიანად გამომეყენებინა, ამიტომაც დავაფუძნე არასამთავრობო ორგანიზაცია. ორგანიზაცია ემსახურებოდა ახალგაზრდების მოტივაციის გაზრდასა და მათი აქტივობის ამაღლებას. ჩვენი რამდენიმე პროექტი ევროკავშირის მიერ დაფინანსდა. სამწუხაროდ, ბუდაპეშტში წასვლის შემდეგ აქტიურად ვეღარ ვერთვები ორგანიზაციის საქმიანობაში. ვფიქრობ, ოდესმე ისევ დავუბრუნდები არასამთავრობო სექტორს, რადგან ამ გზით ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება არის შესაძლებელი საზოგადოებისათვის“, – ამბობს მარიამი.

უნივერსიტეტამდე

„ბავშვობის წლები ძალიან სასიამოვნოდ მახსენდება. მაღლობას ვუხდი ჩემს მშობლებს, პირველ რიგში იმისათვის, რომ უდარდელი ბავშვობა მაჩუქეს და იმისათვის, რომ ბავშვობიდან მაჩვევდნენ დამოუკიდებლობას.

ვიცოდი, რომ არავის დახმარების იმედზე არ უნდა ვყოფილიყავი. დარწმუნებული ვარ მათ ხშირად შესტკიოდათ გული, მაგრამ ცდილობნენ არასოდეს ჩარეულიყვნენ. ფაქტობრივად, მაიძულებდნენ, თავად მეპოვა გზები საკუთარ პასუხისმგებლობის შესასრულებლად. საშუალებას მაძლევდნენ დამოუკიდებლად განვითარებულიყავი. მე ვფიქრობ, მათი ასეთი დამოკიდებულება ყველაზე მეტად დამეხმარა ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავებაში.

ბავშვობაში ბევრს ვკითხულობდი და ვმეცადინეობდი. ოქროს მედალზე დავამთავრე ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის ნომერ პირველი საჯარო სკოლა. სკოლის პერიოდში ძალიან ბევრი საინტერესო რამ გამოვცადე. განსაკუთრებული სიამაყით ვიხსენებ ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა ოლიმპიადას, სადაც მეორე ადგილი დავიკავე. ეს იყო ჩემი პირველი მცირედი მიღწევა, რამაც შეიძლება ითქვას „მომწამლა“ და უფრო მეტის მიღწევის მოტივაცია გამიჩინა. შემდეგ რამდენიმე ინტელექტუალური ჩემპიონატის გამარჯვებული გავხდი. მახსნდება ტელეკომპანია „მზე“ და ინტელექტუური ჩემპიონატი „ვის უნდა ევროკავშირში“ და ის, რომ პრეზიდენტმა თავის რეზიდენციაში გვიმასპინძლა წარმატებულ მოსწავლეებს.

ვფიქრობ, წარმატების მისაღწევად საჭიროა მიზანმიმართული შრომა და საკუთარი თავის რწმენა. რასაც არ უნდა აკეთებდე, იფიქრე, მიჰყავხარ კი ამ მოქმედებას შენი მიზნისაკენ?! არასოდეს დანებდე. დაბრკოლებები ნუ შეგაფერხებს, წინააღმდეგობები ამ გზაზე აუცილებლად შეგხვდება. უფასო არაფერია და დაბრკოლება არის საფასური რასაც იხდი შენი წარმატებისათვის. უბრალოდ, მჯერა, ღმერთი აუცილებლად ხედავს და აფასებს ჩვენს მიზანმიმართულ შრომას და ჯილდოც არ დააყოვნებს. მე ნამდვილად არ ვფიქრობ რომ ცხოვრებაში ბევრ რამეს მივაღწიე, მისაღწევი კიდევ ძალიან ბევრია, მაგრამ თუ კი რაიმესთვის მაინც მიმიღწევია, ვფიქრობ ამ სტრატეგიის შედეგია. “All you need is the plan, the road map, and the courage to press on to your destination“, – ყველაფერი რაც გჭირდება არის გეგმა, საგზაო რუკა და გაბედულება დანიშნულების ადგილის მისაღწევად“.

მარიამი მომავლის გეგმებზე არ საუბრობს, როგორც ამბობს, გეგმებს მოქმედება სჭირდება და არა საუბარი.

„ჩემი მშობლებიც კი მაშინ იგებდნენ ჩემი წარმატებების შესახებ, როდესაც ყველაფერი უკვე მიღწეული იყო. მოულოდნელად განვუცხადე უნგრეთში წასვლის ამბავი. სამსახურის ამბავიც მაშინ შევატყობინე, როცა უკვე ამიყვანეს კომპანიაში. ვფიქრობ, რომ გეგმებზე საუბარი მათზე ფოკუსირებისაგან აფერხებს, მოტივაციას აქვეითებს. პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ ასეა. მიუხედავად ამისა, ცხოვრების ყველა ეტაპზე მქონდა და მაქვს დასახული გრძელ და მოკლევადიანი მიზნები“, – გვიმხელს ის.

პირველი ნაბიჯები წარმატებისკენ

პირველი გვერდიდან

ბას გაუმარტივებს. კესი ფიქრობს, რომ მისთვის გავრცელებული სტერეოტიპი იმის შესახებ,რომ რთული პროფესია ქალის საქმე არ არის, დაბრკოლებას არ წარმოადგენს. მომავალი მეცნიერი ბიომედიცინის ინჟინერიის მიმართულებით აპირებს სწავლის გაგრძელებას.

თსუ-ში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) საბაკალავრო პროგრამა ქიმია/ბიოქიმია მოიცავს ანალიზურ, არაორგანულ, ორგანულ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ ქიმიას. ეს საბაკალავრო პროგრამა შეისწავლის თითოეული სფეროს საფუძვლებს ლაბორატორიული კვლევისა და ქიმიის პრაქტიკულ გამოყენებაზე აქცენტით. კესის ინტერესებიც, პირველ რიგში, ლაბორატორიული კვლევებმა განაპირობა, ის როგორც ბიოქიმიის სტუდენტი, უახლეს და საკმაოდ მაღალი დონის ლაბორატორიებში აგარებდა ექსპერიმენტებს პირველი კურსიდან. საკუთარ გამოცდილებაზე დღეს თავად კედი კაციგაძე მოგვიყვება:

არჩევანი

„რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე როგორც პროფესიის, ისე უნივერსიტეტის არჩევისას.

საბუნებისმეტყველო მიმართულებები და განსაკუთრებით ბიოლოგია ბავშვობიდან მიყვარდა და ყველაზე დიდი სიხარულითა და მონდომებით ვსწავლობდი. ამის მიუხედავად, საქართველოში ვერ ვხედავდი იმის პერსპექტივას, რომ კარგი განათლება მიმეღო ჩემთვის სასურველ სფეროში. ამას ის გავრცელებული სტერეოტიპიც ემატებოდა, რომ ასეთი რთული პროფესია ქალის საქმე არ იყო. ჩემი აზრით კი, ამ სფეროს მთავარი ხიბლი სწორედ მის სირთულესა და ყოველდღიურად ახლის ძიებაშია.

როგორც კი სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამა გამოჩნდა საქართველოში, გადავწყვიტე, გამერისკა და პირველივე წელს ჩამებარებინა. როგორც წესი, ახალი პროგრამები პირველ წელს ყველაზე არეულია და იმასაც ვერ განსაზღვრავ, რამდენად გაამართლებს. საბედნიეროდ, გაამართლა და იმდენი შესაძლებლობა მომცა, რამდენსაც ვერც ერთი სხვა უნივერსიტეტი ვერ შემომთავაზებდა.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარების პირველივე დღიდან მრავალ აქტივობაში ვიყავი ჩართული. როგორც ბიოქიმიის სტუდენტი, უახლეს და საკმაოდ მაღალი დონის ლაბორატორიაში ექსპერიმენტებსაც ვაგარებდი სისტემატურად და ლექციებიც საკმაოდ ბევრი მქონდა. ამის მიუხედავად, თვითმმართველობისა და საჩივრების კომისიის წევრი გავხდი. შემდეგ ქართული კომიქსის პროექტზე დავიწყე მუშაობა კოორდინატორის სტატუსით აშშ-ს საელჩოს პერსონალური გრანტით. პროექტი წარმატებით დასრულდა და სოციალურ პრობლემებზე მორგებული კომიქსები რეგიონების სკოლებში დარიგდა. ზაფხულში, როგორც მილენიუმისა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი, ჯონ ქერის შევხვდი თბილისში ვიზიტის დროს. მეორე კურსის პირველ სემესტრში კი კალიფორნიაში გავემგზავრე სასწავლებლად. ახლა, ისევ დაუღალავი სასწავლო პროცესის ფონზე, ახალი კვლევებისა და პროექტებისთვის ვემზადები“.

წარმატება არის ...

„ჩემი აზრთ, წარმატება არის ის, როცა შეგიძლია შენს ირგვლივ ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალო, თუნდაც არ გამოჩნდე და არ იყვირო შენს საქმიანობაზე. შესაბამისად, ბიოქიმიკოსისთვის და კონკრეტულად ჩემთვის დიდი წარმატება იქნება რაიმე ისეთი პრეპარატის შექმნა ან მეცნიერებაში ისეთი აღმოჩენის გაკეთება, რაც მილიონობით ადამიანის ცხოვრებას გაამარტივებს. ამის მისაღწევად კი აუცილებელია სწავლა და იმ ყველა შესაძლებლობის გამოყენება, რასაც გზად გადააწყდება ადამიანი. უნდა შეეძლოს ადამიანს თავისი სასურველი “მე”-ს წარმოდგენა, მიზნად გადაქცევა და იმ მიზნისკენ დაუღალავად სიარული. ასეთი ადამიანები ყოველთვის აღწევენ წარმატებას თუნდაც თვითონ საკუთარი თავი ვერ ჩათვალონ წარმატებულად მაქსიმალიზმის გამო“.

ინტერესები

„სამომავლოდ ვგეგმავ, ბიომედიცინის ინჟინერიის მიმართულებით გავაგრძელო სწავლა ამერიკაში. ვფიქრობ, რომ მომავალი სწორედ ამ სფეროსია. რაც უფრო მეტად ვითარდება მსოფლიო, რაც უფრო მეტი აღმოჩენის მომსწრენი ვხდებით, მით უფრო ახლოვდება ის ეპოქა, რომელშიც დაავადებათა ზუსტი დიაგნოსტიკა განვითარების აღრეულ სტადიაზე ან პოტენციური განვითარების საშიშროების შემთხვევაში და თუნდაც კიბოს განკურნება პრობლემას აღარ უნდა წარმოადგენდეს.

იმის მიუხედავად, რომ ყველაზე მეტ დროს ჩემს პროფესიასა და სწავლას ვუთმობ, ბიოქიმიის გარდა ბევრი სხვა ინტერესი მაქვს. ბავშვობიდან მიყვარდა ცეკვა და დავდიოდი როგორც ქართულ ცეკვებზე სუხიშვილების სოლისტთან, ისე Jazz Funk-ze D-Star-ში. ასევე ყოველთვის მომწონდა მსახიობობა და მე-11 კლასში ალისას როლიც ვითამაშე ბრიტანულ-ქართული აკადემიის სასკოლო სპექტაკლში, რომელიც საკმაოდ წარმატებული გამოდგა. სააგენტატო გამოცდების გამო ყველას უკვირდა, სად ვპოულობდი დროს რეპეტიციებისთვის, თუმცა როგორც ჩანს, რაც მართლა გიყვარს და მოგწონს, იმისთვის ყოველთვის პოულობ დროს“.

სიახლეები

პირველი „საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა დიგიტალურ ჰუმანიტარიაში“

24 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა დიგიტალურ ჰუმანიტარიაში“ წინაშესარჩევი I ტური გაიხსნა. საქართველოში პირველად იქმნება საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა, რომელსაც გერმანული სამეცნიერო ფონდი Volkswagen Stiftung დააფინანსებს. საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი “Cross-National Doctoral School” ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობით ხორციელდება.

საქართველო ცვალებად საერთაშორისო გარემოში

24 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის ინიციატივით გაიმართა საპანელო დისკუსია თემაზე: „საქართველო ცვალებად საერთაშორისო გარემოში“, რომელიც მიეძღვნა ცნობილი ქართველი დიპლომატისა და მეცნიერის ლევან მიქელაძის 60 წლისთავს. ღონისძიებაზე განხილული იყო საქართველოსა და რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო, მთავარი შესაძლებლობები და გამოწვევები, რაც დაკავშირებულია საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკური განვითარების მიმდინარე პროცესებთან.

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 75 წლის იუბილე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა 24 თებერვალს 75 წლისთავისადმი მიძღვნილი ანგარიში-პრეზენტაცია გამართა. იუბილეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, თსუ რეტორის მოადგილე მიხეილ ჩხენკელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმდები დაესწრნენ. გამომსვლელებმა ერთხმად აღნიშნეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ღვაწლი და მნიშვნელობა ქართული სახელმწიფო ენის მსახურების სფეროში.

სამეცნიერო კონფერენცია „კონფლიქტები კავკასიაში – გადაწყვეტის ალტერნატიული პერსპექტივები“

24 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენცია „კონფლიქტები კავკასიაში-გადაწყვეტის ალტერნატიული პერსპექტივები“ გაიმართა. კონფერენციის მიზანია კავკასიის კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების მოკლე ისტორიული ანალიზი რეგიონის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და კულტურულ-ცივილიზაციური ფუნქციური დატვირთვის კონტექსტში. კონფერენციის ფარგლებში წარმოდგენილი იყო კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტების დინამიკა, სამიტებისა და მათი გადაწყვეტილებების არაქმედითუნარიანობის მიზეზები, კონფლიქტების მოუგვარებლობის შიდა და გარე ფაქტორები, საქართველოს როლი ამ კონფლიქტების გადაჭრის გზაზე, კონფლიქტების გადაჭრის სტრატეგიული დოკუმენტების

გაგრძელება მე-4 გვ.

სიახლეები

მესამე გვერდიდან

კრიტიკული ანალიზი და ამ სტრატეგიის რეალობაში განხორციელების წინაღობები.

საერთაშორისო სისხლის სამართალი: დისკუსია თსუ-ში

27 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტმა სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობის თემას მიუძღვნა. ღონისძიებას საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი – პროფესორი ლევან ალექსიძე, პროფესორი ქეთევან ხუციშვილი, მოწვეულ სტუმრები, სტუდენტები დასწრნენ. დისკუსია, რომელიც ეროვნულ დონეზე მომუშავე პრაქტიკოსებისთვის საერთაშორისო (ძირითადად ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ) დანაშაულს დაეთმო, თსუ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტისა და Case Matrix Network-ის თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა.

აკაკი შანიძის დაბადებიდან 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები

27 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკაკი შანიძის დაბადებიდან 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები გაიმართა. იუბილეს ფარგლებში გაიხსნა სამეცნიერო კონფერენცია, ასევე გაიმართა ფოტოგამოფენა „აკაკი შანიძე-130“ და აკაკი შანიძის ნაშრომებისა და პერიოდიკაში დაბეჭდილი სტატიების გამოფენა, მათ შორის, აკაკი შანიძის პირველი დაბეჭდილი სტატია, რომელიც 1906 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „მუშაში“, სახელწოდებით „რას ვუცადოთ“. ღონისძიებას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, თსუ პრორექტორი მიხეილ ჩხენკელი, სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები, სტუდენტები, აკაკი შანიძის ოჯახის წევრები დაესწრნენ.

„ბრძოლა დამოუკიდებლობის დაცვისათვის: 1921 წლის თებერვალ-მარტი“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-21 წწ.) შემსწავლელი ცენტრი-თსუ ბიბლიოთეკის ორგანიზებით 28 თებერვალს გაიმართა დისკუსია თემაზე – „ბრძოლა დამოუკიდებლობის დაცვისათვის: 1921 წლის თებერვალ-მარტი“. დისკუსია შეეხო 1921 წლების თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციას, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის ჯარებს შორის მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებს. მოხსენებები წაიკითხეს თსუ ასოცირებულმა პროფესორმა, ისტორიკოსმა მიხეილ ბახტაძემ და თსუ ისტორიის დოქტორანტმა დიმიტრი სილაქაძემ.

კარი ტაპიოლას სჯარო ლექცია თსუ-ში

2 მარტს თსუ-ში, იურიდიული ფაკულტეტისა და ა(ა)იპ „თანამედროვე შრომის სამართლის ცენტრის“ თანაორგანიზებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მხარდაჭერით, გაიმართა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის სპეციალური მრჩეველის კარი ტაპიოლას საჯარო ლექცია თემაზე – შრომის საერთაშორისო სტანდარტების როლი სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის გაძლიერებაში.

ბულგარეთის რესპუბლიკის ნაციონალური დღე თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბულგარეთის რესპუბლიკის ნაციონალურ დღესთან დაკავშირებით, 2 მარტს საზეიმო მიღება გაიმართა. ღონისძიებას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელთა შეხვედრა თსუ სტუდენტებთან

3 მარტს საზოგადოებრივ მაუწყებელზე მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე. ღონისძიებას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანაშემწე ია ანთაძე, საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი გვიმრაძე, საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრატეგიული განვითარების ხელმძღვანელი პაატა ქურდაძე, სტუდენტები, პროფესორები დაესწრნენ. საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის წარმომადგენლებმა უპასუხეს ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების კითხვებს, თუ რა ცვლილებები იგეგმება, როგორ უნდა განვითარდეს საზოგადოებრივი მაუწყებელი და ა.შ.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ნიკოს კოძიასი თსუ-ს ეწვია

7 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბერძნეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიკოს კოძიასმა საჯარო ლექცია „საბერძნეთი და რეგიონული თანამშრომლობის პოზიტიური დღის წესრიგის ხელშეწყობა“ წაიკითხა, რომელსაც თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, სტუდენტები, პროფესორები ესწრებოდნენ. საჯარო ლექციაზე ნიკოს კოძიასმა ისაუბრა ევროკავშირში არსებულ ღირებულებებებსა და ფასეულობებზე, ევროკავშირ-საბერძნეთის და საქართველო-საბერძნეთის ურთიერთობებზე, ბრექსიტზე, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებზე, საქართველოს ინტეგრაციაზე ევროკავშირში. საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის გაღრმავებისთვის, ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერისათვის თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ნიკოს კოძიასი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვა.

სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“ თსუ-ში

„ფიქრი იდეისთვის, კვლევა პროექტისთვის, მართვა წარმატებისთვის“ - ამ დევიზით ხელმძღვანელობს თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე არსებული სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“, რომელიც სტუდენტებს კვლევებისა და პროექტების განხორციელების მნიშვნელოვან შესაძლებლობას აძლევს. ცენტრის შესახებ ინფორმაცია მისმა ხელმძღვანელმა გიორგი შიხაშვილმა მოგვაწოდა.

დღეისათვის ცენტრის პერსონალურ შემადგენლობაშია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 40-ზე მეტი სტუდენტი, რომელთაგან 12 სტუდენტი ცენტრის გამგეობის წევრია. ცენტრის წევრები აგრეთვე არიან საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის და ჩიკაგოს ლუისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) სტუდენტები.

ცენტრთან არსებულ მრჩეველთა და მბრუნველთა საბჭოებში გაერთიანებული არიან ქართველი და უცხოელი საზოგადო მოღვაწეები, დიპლომატები, მეცნიერები, სპეციალისტები და ბიზნესმენები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ ცენტრს.

2016 წლის 1 ივნისიდან ცენტრმა ბინა დაიდო ახალ ოფისში (თსუ მაღლივი კორუსი, ოთ. №1008), სადაც კარგი პირობებია მუშაობისათვის. ასეთი გარემოება დიდ სტიმულს აძლევს ცენტრის წევრებს ნაყოფიერი საქმიანობის გასაწევად.

ცენტრის გრძელვადიანი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-სტრენინგო სამუშაოები და შესაბამისი პროექტების/ღონისძიებების განხორციელება შემდეგი ძირითადი პროგრამების საფუძველზე:

„შეიმეცნე და ააღორძინე საქართველო“ – ხორციელდება ცენტრთან არსებული ეროვნული ეკონომიკის კვლევის ლაბორატორიაში;

„ისრაელის ეკონომიკა და ბიზნესი“ – ხორციელდება ცენტრთან არსებული ისრაელის ეკონომიკის კვლევის ლაბორატორიაში;

„აშშ-ის ეკონომიკა და ბიზნესი“ – ხორციელდება ცენტრთან არსებული ამერიკული ეკონომიკის კვლევის ლაბორატორიაში.

2000 წლიდან დღემდე ცენტრ „იდეა“-ს ინიციატივით/თანაინიციატივით, ორგანიზებით/თანაორგანიზებით და მონაწილეობით 13-ზე მეტი კონფერენცია ჩატარდა. ცენტრ აქტიურად თანამშრომლობს თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტთან, ისრაელის საელჩოსთან საქართველოში და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“; ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტის პროფესორ რობერტ ალბინთან და კიევის გარემოსა და ეკონომიკური განვითარების უნივერსიტეტის პრორექტორთან, პროფესორ ოქსანა რიაბჩენკოსთან და სხვა პარტნიორებთან.

2000 წლიდან მოყოლებული ცენტრში სისტემატურად ეწყობა სტუდენტური სემესტრული გუნდური სასწავლო-შემეცნებითი პროექტების პრეზენტაცია.

ასეთი პროექტების შედეგნა-პრეზენტაციას ყოველსემესტრული ხასიათი აქვს და ცენტრის დირექტორის გ. შიხაშვილის სასწავლო გეგმისა და მეთოდიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პროექტების პრეზენტაციის შეფასება ხდება ცენტრის ხელმძღვანელისა და ცენტრის მენეჯერებით შედგენილი კომისიის მიერ.

2014-2016 წლებში ცენტრ „იდეა“-ს ხელმძღვანელები უძღვებოდნენ სარედაქციო-საორგანიზაციო და მთარგმნელობით მუშაობას, რომელიც ხორციელდებოდა მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის მიერ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს (S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014) თარგმნისა და თსუ-ში გამოსაცემისათვის.

„საქართველოს ბუნების 100 საოცრება“



თსუ ასისტენტ პროფესორის, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორის გიორგი დვალაშვილის წიგნი „საქართველოს ბუნების 100 საოცრება“ შესაძლებელია ერთგვარი გზამკვლევი გახდეს, როგორც მკითხველთა ფართო წრისთვის, ისე შესაბამისი პროფილის სპეციალისტებისა და ტურისტებისათვის. წიგნის პრეზენტაცია 14 მარტს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

წიგნში შეგანილია საქართველოს ბუნების ასი ღირსშესანიშნავი ძეგლი, ბუნების ასი საოცრება, რომლებიც თავისი უნიკალურობით და სილამაზით მნახველს აოცებს.

წიგნის ავტორის თქმით, „საქართველო გეომორფოლოგიური კონტრასტების სახელმწიფოა. მის ზედაპირზე წარმოდგენილია მრავალფეროვანი რელიეფის ფორმები: ღრმა ხეობები, მიწისქვეშა ლაბირინთები, ბრტყელი დაბლობები, ტაფობები, სხვადასხვა სიმაღლის პლატოები, მაღალი მთები, ქედები. ბუნებრივი პირობების მაღალი კონტრასტულობა და ლანდშაფტური მდებარეობის მაღალი კოეფიციენტი განაპირობებს ჩვენს ქვეყანაში ბუნების უნიკალური ძეგლების სიმრავლეს. ყოველივე ეს, თავის მხრივ, საქართველოთი უცხოელ ტურისტთა მიერ მზარდი დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზია“.

არაორგანული ბუნების ძეგლები ათასეული წლების განმავლობაში იქმნება და ერთმანეთის სრულიად იდენტური არასოდესაა. ბუნებრივი ძეგლი შეიძლება იყოს ეროვნული მნიშვნელობის მქონე შედარებით მცირე ტერიტორია, სადაც წარმოდგენილია იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების მქონე კომპაქტური ეკოსისტემები, ცალკეული გეომორფოლოგიური და ჰიდროლოგიური წარმონაქმნები, მცენარეთა ცალკეული ეგზემპლარები ან ცოცხალ ორგანიზმთა ნამარხი ობიექტები. გარდა ამისა, მღვიმე, ხეობა, მდინარის დელტა, ტყის კორომი და სხვ.

როგორც გიორგი დვალაშვილი განმარტავს, საქართველოს ბუნება, მიუხედავად მკვლევართა მრავალწლიანი მოღვაწეობისა, ჯერ კიდევ ბევრ ასეთ გამოუკვლევ ობიექტს მალავს. მათი მოძიება, სათანადოდ გამოკვლევა, კეთილმოწყობა და დაცვა რამდენიმე მიზეზის გამო არის აუცილებელი: საქართველოში ბუნების უამრავი ძეგლი დაზიანდა ან სამუდამოდ მოისპო, შესაბამისად, იკარგება ბუნების იშვიათი და უნიკალური ქმნილება, რომლის აღდგენა შეუძლებელია; საჭიროა ბუნების ძეგლთა ზუსტი აღრიცხვა და დაცვა, რათა შენარჩუნებულ იქნას ბუნების ფენომენები; გარდა ამისა, ამ ტერიტორიების ტურისტულ მარშრუტებში ჩართვა კიდევ უფრო გაზრდის ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს.

წიგნში აღწერილი ზოგიერთი ღირსშესანიშნავი ადგილი მდინარე რიონის აუზში მდებარეობს, რომელთა კომპლექსური კვლევა თსუ მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2015 წელს დაფინანსებული პროექტის - „ენდოგენური წარმოშობის ბუნების ძეგლების კვლევა-პოპულარიზაცია მდინარე რიონის აუზში“ EN/15/2015 ჩატარდა.

წიგნი გამომცემლობა „კლიომ“ გამოსცა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. სერიით „საქართველოს საგანძური“ უკვე გამოსულია „საქართველოს 100 კურორტი“ და „საქართველოს 100 მუზეუმი“.



გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge